ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის
რეგლამენტი

ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული/განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე, უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების კონკურსის თაობაზე

03.10.2024 **თბილისი**

მუხლი 1. რეგლამენტის მიზანი

ამ რეგლამენტის მიზანია „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული/განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების კონკურსის გამოცხადების თაობაზე“ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 19/07/2024 წლის №198/01-01 ბრძანებით განსაზღვრულ ფარგლებში შესაბამისი კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების განსაზღვრა.

მუხლი 2. კონკურსის თემატიკა

1. ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული/განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე, უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსება (შემდგომში, დაფინანსება ან პროექტი) შეეხება ფაკულტეტზე მოქმედ ყველა (კერძო სამართლის, სამართლის ისტორიის, სამართლის მეთოდების, ადმინისტრაციული სამართლის, კონსტიტუციური სამართლის, სისხლის სამართლისა და საერთაშორისო სამართლის) მიმართულებას.
2. დაფინანსება ხორციელდება კონკურსის საფუძველზე ამ წესისა და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 3. კონკურსის მონაწილეობის პირობები

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია იურიდიული ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს (პროფესორი, ასოცირებულ პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი).
2. პროექტი შეიძლება იყოს ინდივიდუალური ან ჯგუფური.
3. ინდივიდუალური პროექტის წარმოდგენის უფლება აქვს აკადემიურ პერსონალს.
4. ჯგუფური პროექტის შემთხვევაში პროექტს უნდა ჰყავდეს პროექტის ხელმძღვანელი – სამართლის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
5. პროექტი უნდა გულისხმობდეს ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული/განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე, უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნასა და გამოცემის დაფინანსებას და უნდა პასუხობდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 13/09/2024 №247/01-01 ბრძანებით დადგენილ სახელმძღვანელოების შექმნისა და სათარგმნი უცხოური სასწავლო ლიტერატურის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

მუხლი 3. პროექტის ხანგრძლივობა და დაფინანსების მოცულობა

პროექტის ხანგრძლივობა და დაფინანსების მოცულობა განისაზღვრება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული/განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე, უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების კონკურსის გამოცხადების თაობაზე“ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 19/07/2024 წლის № 198/01-01 ბრძანებით.

მუხლი 4. პროექტის რეგისტრაციის წესი და საკონკურსო დოკუმენტაცია

1. საკონკურსო განაცხადის წარდგენის უფლება აქვს იურიდიული ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს შესაბამისი მიმართულების თანხმობის საფუძველზე, რომლითაც დასტურდება, რომ მოცემული სახელმძღვანელო კონკრეტული დარგისთვის მნიშვნელოვანია.
2. კონკურსში მონაწილეობისთვის პროექტის ხელმძღვანელმა (ინდივიდუალური პროექტის შემთხვევაში - შესაბამისმა აკადემიურმა პერსონალმა) იურიდიული ფაკულტეტის კანცელარიაში უნდა დაარეგისტრიროს პროექტი, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისგან:

ა) პროექტში მონაწილე აკადემიური პერსონალის პროფესიული რეზიუმე და პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) საპროექტო წინადადება (მოიცავს სახელმძღვანელოს სათაურსა და შინაარსობრივ აღწერას (სახელმძღვანელოს მოკლე აღწერილობა, აბსტრაქტი)

გ) პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი.

3. საპროექტო განაცხადი უნდა პასუხობდეს შემდეგ ტექნიკურ მოთხოვნებს: საპროექტო წინადადება უნდა იყოს წარმოდგენილი შრიფტით Sylfaen 12, 1.5 ინტერვალი, ველი სტანდარტული (2.54 სმ. ზემოთ, ქვემოთ, მარჯვნივ და მარცხნივ), A4 ფურცელი.
4. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს იურიდიული ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით განსაზღვრული ვადებისა და ფორმის დაცვით.

მუხლი 5. კონკურსის ადმინისტრირება

1. იურიდიულ ფაკულტეტზე წარდგენილ საკონკურსო განაცხადებს განიხილავს ამავე ფაკულტეტის საბჭო და შერჩეული განაცხადების თაობაზე ინფორმაციას აწვდის უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.
2. კონკურსის ეტაპები:

   ა) კონკურსის გამოცხადება დადგენილი წესით;

   ბ) პროექტების რეგისტრაცია;

   გ) კონკურსის პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საკონკურსოდ წარმოდგენილი განაცხადების შემოწმება დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის მიერ;

   დ) განაცხადის შეფასება საგამომცემლო საბჭოს მიერ და დადებითი დასკვნის შემთხვევაში მისი გადაცემა ფაკულტეტის საბჭოსთვის;

   ე) კონკურსის შედეგების გამოქვეყნება;

   ვ) სააპელაციო განაცხადების მიღება;

   ზ) შერჩეული განაცხადების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის;

   თ) გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულებების გაფორმება.

მუხლი 6. განაცხადების შეფასება

1. ფაკულტეტის საბჭო უზრუნველყოფს კონკურსში მონაწილე პროექტებისათვის საბოლოო ქულის გამოთვლას და გამარჯვებულების გამოვლენას.
2. თითოეული პროექტი შეფასდება 100 ქულით, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

   ა) სახელმძღვანელოს მნიშვნელობა - 30 ქულა;

ბ) სახელმძღვანელოს მნიშვნელობა სასწავლო პროცესში და თავსებადობა პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან - 40 ქულა;
გ) სიახლე - 30 ქულა;

მუხლი 7. ხელშეკრულება

იურიდიული ფაკულტეტი უზრუნველყოფს გამარჯვებული პროექტის ხელმძღვანელთან (ინდივიდუალური პროექტის შემთხვევაში – შესაბამის აკადემიურ პერსონალთან) საპროექტო ხელშეკრულების გაფორმებას, რომელშიც გაიწერება ურთიერთვალდებულებათა პირობები.

მუხლი 8. პროექტის შეფასება

1. განაცხადების წარმდგენი პირ(ებ)ის მიერ სახელმძღვანელოს ან უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმანის წარმოდგენის შემდგომ, წარმოდგენილი მასალები გადაეცემა იურიდიული ფაკულტეტის დარგობრივ სარედაქციო კოლეგიას.
2. დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის მიერ შედგენილი წინასწარი დადებითი დასკვნა არაუმეტეს 20 დღის ვადაში გადაეცემა იურიდიული ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს.
3. იურიდიული ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს დადებითი დასკვნა გადაეცემა ამავე ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას სახელმძღვანელოს/თარგმანის უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოსთვის გადაცემის შესახებ.
4. დარგობრივი სარედაქციო კოლეგიისა და საგამომცემლო საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს განსახილველად წარდგენილი პროექტის ხელმძღვანელი (ინდივიდუალური პროექტის შემთხვევაში – შესაბამისი აკადემიური პერსონალი).

მუხლი 9. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება განიხილება თსუ იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

განაცხადი

სახელმძღვანელოს სახელწოდება ქართულად (უცხოური სასწავლო ლიტერატურის თარგმნის შემთხვევაში შესაბამის ენაზე):

პროექტის ხელმძღვანელი/განმახორციელებელი (სახელი/გვარი, აკადემიური თანამდებობა, პროფესიული რეზიუმე და პირადობის მოწმობის ასლი):

სახელმძღვანელოს მოკლე აღწერა (300-600 სიტყვა):

სახელმძღვანელოს სავარაუდო სტრუქტურა:

პროექტის ხანგრძლივობა/გეგმა-გრაფიკი: